რატომ არ მიანიჭეს საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი?

რატომ არ მიანიჭეს საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის ოფიციალური სტატუსი. ამის შესახებ პუბლიკაციას „ევრონიუსი“ ავრცელებს.

სტატიაში აღნიშნულია, რომ საქართველომ ოფიციალურად მიიღო „ევროპული პერსპექტივა, მაგრამ კანდიდატის სტატუსამდე მას ცოტა დააკლდა. უკრაინას და მოლდოვას ევროკავშირმა ოფიციალურად მიანიჭა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი.

ევროპული საბჭო მზად არის მიანიჭოს საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მას შემდეგ, რაც შესრულდება პრიორიტეტები, რომლებიც საქართველოსთან დაკავშირებით ევროკომისიის დასკვნაშია აღნიშნული.

„ევრონიუსის“ ინფორმაციით, საქართველო, რომლის მოსახლეობა 4 მილიონს აღწევს, დიდი ხანია ევროპულ პროცესებშია ჩართული და იდენტიფიცირებულია, როგორც ევროპული ქვეყანა. ამასთანავე, საქართველო გეოგრაფიულად სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს, საზღვარი აქვს რუსეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან და თურქეთთან, რაც მისი კონტინენტური კუთვნილების მიმართ გარკვეულ კითხვებს აჩენს.

ტელეკომპანია იუწყება, რომ საქართველომ, საპარლამენტო რესპუბ-

▶▶▶ გვ–2

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 17 (10429) 27 ივნისი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

სამოქალაქო საზოგადოება ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნას ითხოვს

24 ივნისს, ქ. თბილისში რუსთაველის გამზირზე „სირცხვილიას“ და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციების ორგანიზებით, აქცია „შინ ევროპისკენ“ გაიმართა.

შეკრებილებმა საქართველოსა და ევროკავშირის დროშები გაშალეს. გაჟღერდა საქართველოსა და ევროკავშირის ჰიმნები.

„სირცხვილიას“ წევრებმა საზოგადოებას სამოქმედო გეგმას გააცნენ..

აქციაზე რიგით მოქალაქეებთან ერთად სამოქალაქო საზოგადოების, ასევე სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

–როგორც 20 ივნისს, დღესაც უამრავი ადამიანია მოსული აქციაზე აქციის მონაწილეთა შორის ოზურგეთის პროგრესის სახლიდან მე და მინდია სალუქვაძე ვართ. მოთხოვნები უკვე გაჟღერდა .– გვითხრა ოზურგეთის პროგრესის სახლის დამფუძნებელმა ლევან მჟავანაძემ.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები პრემიერ მინისტრის გადადგომას და ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნას ითხოვენ, რისთვისაც მთავრობას 1-კვირიან ვადას აძლევენ.

„საქართველოს მთავრობა მობილიზებულია, რომ დროულად შევასრულოთ ყველა პირობა, რომელიც იქნა განსაზღვრული ევროკავშირის მიერ“

24 ივნისს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების გადაწყვეტილება შეაფასა. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველოს ევროპული პერსპექტივა დამსახურებულად მიენიჭა.

– „მოგესალმებით, პირველ რიგში, მინდა მადლობა გადაგიხადოთ მობრძანებისთვის. მინდა შევაფასო ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილება, რომელიც გუშინ იქნა მიღებული. როგორც თავად ჩვენმა ევროპელმა ლიდერებმა აღნიშნეს და პარტნიორებმა, ჩვენმა მეგობრებმა, გუშინ იყო მართლაც ისტორიული დღე. საქართველომ, ჩვენმა ქვეყანამ, მიიღო ის, რაც დავიმსახურეთ და ეს არის დამსახურებული მიღწევა. ევროპული პერსპექტივა მიენიჭა საქართველოს, ჩვენს ქვეყანას დამსახურებულად. რა თქმა უნდა, თქვენ ნახეთ, რომ ჩაიწერა პირდაპირ, ღიად, საჯაროდ, რომ რეალურად ევროპამ კარი გაუხსნა ჩვენს ქვეყანას. ეს არის აღიარება ჩვენი ხალხის ევროპული იდეალებისადმი მისწრაფების, მათი ერთგულების, ჩვენი შეუპოვრობის, პრინციპულობის, ბრძოლის და ჩვენი მთავრობის 10-წლიანი მუშაობის შედეგის აღიარებაც. ჩვენ მივისმინეთ მათი შეფასება, რომ ევროპული პერსპექტივის მინიჭებით, რეალურად, ჩვენს ქვეყანას სამუდამოდ გაუხსნეს კარი ევროპაში და პირდაპირ იქნა ჩაწერილი, რომ ქვეყანას მიენიჭა ევროპული პერსპექტივა იმისთვის, რომ გახდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. ეს ნამდვილად არის დამსახურებული მონაპოვარი და მე ვულოცავ ქართველ ხალხს.

რაც შეეხება კანდიდატის სტატუსს,ჩვენ გუშინ ასევე მოვისმინეთ ევროპელი ლიდერების შეფასებები, მათი დაპირება, მათი განაცხადი, რომ, როგორც კი ჩვენ შევასრულებთ მათ მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს, მაშინვე მიენიჭება საქართველოს კანდიდატის სტატუსი. ეს ჩვენ გვაძლევს დამატებით მოტივაციას, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში შევასრულოთ ყველა ის პირობა, ყველა ის პრიორიტეტი, რომლებიც იქნა განსაზღვრული ევროკავშირის მიერ. ჩვენ ამისთვის ვართ მზად. მინდა განვაცხადო, რომ ჩვენი მთავრობა არის მობილიზებული, რომ დროულად შევასრულოთ ყველა პირობა, რომელიც იქნა განსაზღვრული ევროკავშირის მიერ იმისთვის, რომ რაც შეიძლება დროულად მივიღოთ კანდიდატის სტატუსი. ასევე მინდა მივულოცო კიდევ ერთხელ უკრაინას და მოლდოვას. მათ მიიღეს ევროპული პერსპექტივაც და მიიღეს სტატუსიც, როგორც წამახალისებელი საჩუქარი. მე ვულოცავ მათ ამ აღიარებას. მინდა ვუსურვო უკრაინას და მოლდოვას წარმატება, მათ ხალხს ვუსურვო კეთილდღეობა, მშვიდობა. უკრაინა, მოგეხსენებათ, რომ არის უმძიმეს ომში და მოლდოვაც ასევე ძალიან მძიმე

მდგომარეობაშია. ასე რომ, ჩვენ არ გვშურს მათი წახალისების, პირიქით, მინდა, რომ კიდევ ერთხელ მივულოცო და ვუსურვო წარმატება...

მოგეხსენებათ კარგად, რომ ჩამოთვლილ პირობებში არის ერთი, ასე ვთქვათ, პირდაპირი მითითება, მუხლი, დავარქვათ ამას, პირობა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ, ჩვენმა პოლიტიკურმა ძალებმა უნდა მოვახერხოთ პოლარიზების დასრულება. მე მინდა კიდევ ერთხელ ჩვენი გუნდის სახელით განვაცხადო სრული მზაობა იმისა, რომ ჩვენ ყოველთვის მზად ვართ კონსტრუქციული დიალოგისთვის, ჩვენ კარი არასოდეს დაგვიხურავს. მინდა ხაზგასმით და ძალიან მკაფიოდ ვთქვა, რომ ჩვენ გვაქვს მზაობა, ყოველთვის გვქონდა და გვექნება მუდამ, რომ ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხება ჩვენი ქვეყნის მომავალს, ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, ვიმუშაოთ ერთად, გვქონდეს რეალური დებატები, დისკუსია, მსჯელობა და ეს, რა თქმა უნდა, უნდა ხდებოდეს ნორმალურ, მშვიდ, კონსტრუქციულ, ჯანსაღ ვითარებაში. იმედი მაქვს, რომ ამ პასუხისმგებლობას ჩვენი ოპონენტებიც გაითვალისწინებენ, გაიზიარებენ, იმიტომ, რომ ერთ-ერთი მთავარი პირველი მუხლი, პირველი პირობა, რაც ეხება პოლარიზების დასრულებას, მათი ვალდებულებაც არის, მათი პასუხისმგებლობაც არის და ამას მარტო მმართველი გუნდი,მმართველი პარტია და მთავრობა ვერ განახორციელებს, თუ მათი მხრიდანაც არ იქნება გადადგმული რეალური, ქმედითი ნაბიჯები. მინდა, ჩვენს ხალხს ვუსურვო მშვიდობა, ჩვენი ქვეყნის გაერთიანება და ჩვენი ევროპული მომავალი, საქართველოს მომავალი არის ევროკავშირში,“– განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

რატომ არ მიანიჭეს საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი?

ლიკამ საბჭოთა წარსულის დაძლევის საკითხში დიდ წარმატებას მიაღწია და მასში მუდმივად ტარდება არჩევნები.

მაგრამ საარჩევნო სისტემა ბოლომდე გამართული არ არის, არის ბრალდებები ხმების გაყალბების, დაშინების, ამომრჩეველთა მოსყიდვის, ნეპოტიზმის და პოლიციის მხრიდან ზეწოლის მხრივ.

ორგანიზაცია **Freedom House**-ის ინფორმაციით, ოლიგარქებს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე და მედიაგარემოზე ზედმეტ გავლენაში ადანაშაულებენ, ხოლო სამოქალაქო თავისუფლება თანმიმდევრულად დაცული არ არის.

2020 წლის ოქტომბერში საქართველოში პოლიტიკური კრიზისი მოხდა, როდესაც ოპოზიციურმა პარტიებმა განაცხადეს, რომ საპარლამენტო არჩევნები ფალსიფიცირებული იყო და მათ დამარცხების აღიარებაზე უარი განაცხადეს, რასაც პოლარიზაცია და აქტივისტების დაკავება მოჰყვა.

ოპოზიციამ პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადა და „ქართულმა ოცნებამ“ მთავრობა ოპოზიციის მონაწილეობის გარეშე დააკომპლექტა.

შემდეგ გაჭიანურებულ პოლიტიკურ კრიზისში ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი ჩაერთო, რათა შემდგარიყო შეთანხმება პოლიტიკურ ძალებს შორის და პროცესების საკანონმდებლო სივრცეში დაბრუნებულიყო. შეთანხმების მიხედვით, დაგეგმილი იყო საარჩევნო და სასამართლო სისტემების რეფორმირება.

სწორედ ეს გაჭიანურებული არასტაბილურობა გახდა ევროკომისიის დასკვნის ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი არ მიანიჭა.

კომისიამ მთელი რიგი მოთხოვნები გამოაქვეყნა, რომელთა შესრულება მოუწევს საქართველოს. მათ შორისაა პოლიტიკური პოლარიზაციის გადაჭრა, ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და დეოლიგარქიზაციის აუცილებლობა. საქართველოსთვის შეთავაზებული რეფორმების სია ბევრად დიდია, ვიდრე ის, რაც ევროკავშირმა უკრაინას და მოლდოვას წარუდგინეს.

ევროკომისიის ამ დასკვნის შემდეგ რამდენიმე დღეში საქართველოს დედაქალაქის ქუჩებში 60 000 მომიტინგე გამოვიდა, რომლებმაც ევროკავშირისგან კანდიდატის სტატუსი მოითხოვეს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს დემონსტრაცია გადაწყვეტილებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

„საქართველო ერთი ნაბიჯით ჩამორჩება“, - განაცხადა ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრმა მარკ რიუტემ.

გარკვეული წარუმატებლობის მიუხედავად, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება დადებითად შეაფასა და განაცხადა, რომ „საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარება დიდი ისტორიული ნაბიჯია“.

„ახლა, მომდევნო თვეების განმავლობაში, ჩვენ ვიმუშავებთ რათა კანდიდატის სტატუსი მივიღოთ“, - განაცხადა ზურაბიშვილმა. მან ევროპულ ლიდერებს ამ გადაწყვეტილებისთვის მადლობა გადაუხადა.

სამიტის დასრულების შემდეგ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა განაცხადა, რომ საქართველოს შეუძლია წინ წავიდეს რეფორმების განხორციელების მხრივ და რომ ის საბოლოოდ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს მიიღებს.

„ძალზე მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოს უწყებებთან ამ საკითხებზე“, - განაცხადა მიშელმა.

საქართველოს ევროპული ინტეგრაციის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმაც ისაუბრეს. მაკრონმა აღნიშნა, რომ ევროპელმა ლიდერებმა დაინახეს „ქუჩაში გამოსული ხალხის ნება“.

იგეგმება, რომ 2022 წლის ბოლომდე ევროკომისია ევროპულ საბჭოს ინფორმაციის მიწვდის იმ ღონისძიებების შესახებ, რაც საქართველოს მთავრობამ განახორციელა. ამის შემდეგ ევროპული საბჭო საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის საკითხს ხელახლა დაუბრუნდება.

ცნობისთვის, ევროპულმა საბჭომ უკრაინას და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, საქართველოს კი - ევროპული პერსპექტივა.

„ევროკავშირის საბჭომ გადაწყვიტა აღიაროს საქართველოს ევროპული პერსპექტივა და მზადაა, კანდიდატის სტატუსი მიანიჭოს, როგორც კი დასახული პრიორიტეტები შესრულდება“, – განაცხადა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა.

სამხარეო ადმინისტრაციაში არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ შეხვედრა გაიმართა

გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე** მოადგილეებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე, მხარის რწმუნებულს, ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს და იმ პროექტებზე ისაუბრეს, რომლებსაც საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, სოციალური და ჰუმანიტარული დახმარების მიმართულებით ახორციელებენ.

–„არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენთვის პრიორიტეტულია. მნიშვნელოვანია, რომ ორივე მხარემ შევძლოთ, ჩვენი რესურსების მაქსიმალური მობილიზება, რათა ბევრი წარმატებული და რაც მთავარია შედეგზე ორიენტირებული პროექტი განხორციელდეს გურიაში,“ – განაცხადა **გიორგი ურუშაძემ.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალაქის 8 ქუჩაზე ასფალტის საფარი იგება



ამ დროისთვის სამუშაოები ქ. ლანჩხუთში, წმინდა ნინოს ქუჩაზე მიმდინარეობს.

პროექტის ღირებულება 3 000 000 ლარია. სამუშაოებს კომპანია „პალადა“ ასრულებს.

წმინდა ნინოს ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოები ლანჩხუთის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** დაათვალიერა.

პირველადი ჯანდაცვის რეფორმა, რომელიც სოფლის ექიმების მდგომარეობას გააუმჯობესებს

2022 წელს დაიწყო პირველადი ჯანდაცვის რეფორმა, რომლის ფარგლებში დაგეგმილია ოჯახის ექიმებისა და ექთნების შრომითი ანაზღაურების ეტაპობრივი გაზრდა, ქრონიკული დაავადებების მართვის გაუმჯობესებისთვის დიფერენცირებულ-გაზრდილი კაპიტაციური დაფინანსების ამოქმედება, ტელემედიცინის შესაძლებლობების ფართოდ გამოყენება და ხარისხიანი მომსახურების გაწევისათვის შესაბამისი დაფინანსების მექანიზმების მოდიფიცირება.

წელს, პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ფარგლებში, სოფლის ექიმის პროგრამის მართვა გადავიდა სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგის პასუხისმგებლობაში. სოფლებში დასაქმებული ოჯახის ექიმები და ექთნები აღარ ოპერირებენ როგორც ინდივიდუალური მეწარმეები, არამედ ისინი გახდნენ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები. ამავდროულად, გაიზარდა სოფლის ექიმების შრომის ანაზღაურება.

200-მდე სოფლის ამბულატორიას გადაეცა განახლებული სამედიცინო აღჭურვილობა და ტელემედიცინის 50 სისტემა, რითაც მოსახლეობისთვის გაჩნდა შესაძლებლობა, საკუთარ საცხოვრებელ ტერიტორიასთან ახლოს მიიღოს გაუმჯობესებული სამედიცინო სერვისები. მიმდინარე წლის ბოლომდე, ევროკავშირის დაფინანსებით, დაგეგმილია სოფლებისთვის დამატებით 200 ამბულატორიის აღჭურვა და ტელემედიცინის 50 სისტემის გადაცემა.

პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ფარგლებში:

- გაიზრდება ოჯახის ექიმებისა და ექთნების შრომითი ანაზღაურება
- ამოქმედდება ქრონიკული დაავადებების მართვის დიფერენცირებულ-გაზრდილი კაპიტაციური დაფინანსება
- სოფლის ექიმის პროგრამის მართვა გადავიდა სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგის პასუხისმგებლობაში

ლევან უჯმაჯურიძე: ჩვენი მთავარი მესიჯი ჯიშური მრავალფეროვნებაა

18 ივნისს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულში გურული ღვინოების პირველი ფესტივალი გაიმართა, რომელშიც არაერთი მარანი მონაწილეობდა რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტიდან. მონაწილეთა შორის იყვნენ კომპანია კახური ტრადიციული მეღვინეობა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯიღაურას საკოლექციო მეურნეობა, რომელთაც გურული ადგილობრივი ჯიშის ღვინოები ჰქონდა წარმოდგენილი.

ფესტივალის სტუმართა შორის იყო სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს აგრარული, კავკასიის და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **ლევან უჯმაჯურიძე,** რომლის სამეცნიერო ინტერესების სფეროს საქართველოში აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება, გადაშენების პირას მყოფი მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების მოძიება-აღორძინება, ქართული ვაზის გენოფონდის შესწავლა და დაცვა წარმოადგენს.

გთავაზობთ ბატონ ლევან უჯმაჯურიძესთან საუბრის ჩანაწერს:

—ისტორიულად გურიაში, სოფელ ხევში იროდი უჯმაჯურიძის მიერ გაშენდა პირველად კულტურული ჯიშების ნამყენი ვენახი.

სოფელი ხევი თავისი ნიადაგური, კლიმატური პირობებით სავსებით მისაღებია გურული ადგილობრივი ჯიშების მოვლა-მოყვან-ისათვის. აქ, დღეს გამოფენაზე წარმოდგენილია ღვინოები სოფელ ხევიდან, ტარიელ უჯმაჯურიძის საოჯახო მარნიდან. ტარიელ უჯმაჯურიძეს გაშენებული აქვს რამდენიმე ადგილობრივი ჯიში, როგორიცაა თეთრყურძნიანი „საკმიელა,“ასევე —„ჩხავერი“, „ჯანი“, „სხილათუბანი“. მოსავალი არის 2020-2021 წლის. წარმოდგენილი ღვინოები ხასიათდება რეგიონისთვის დამახასიათებელი ჯიშური არომატებით, თავისი ჰარმონიულობით და იკითხება, როგორც ადგილობრივი წარმოშობის ჯიშები და ადგილწარმოშობის ღვინო.

—როგორია ამ მარნის წარმადობა...

—ეს არის მხოლოდ მოყვარულის დონეზე და მხოლოდ და მხოლოდ კეთილი ადამიანებისთვის. მომავალში იქნება მხოლოდ ადგილობრივი წარმოება და პოპულარიზაცია.

—აქ ჯიღაურას საკოლექციო მეურნეობის ღვინოებს ვხედავთ...

— სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯიღაურას საკოლექციო მეურნეობიდან წამოღებულია გურული ვაზის ჯიშების ღვინოები. ბევრი ღვინოა წარმოდგენილი, როგორც თეთრყურძნიანი, ისე წითელწურძნიანი ვაზის ჯიშები.

ჩვენი ძირითადი საქმიანობა არის ქართული ვაზის ჯიშების მოძიება, როგორც გურული ვაზის ჯიშების, ისე საქართველოს ყველა რეგიონიდან, რომლებიც დამაგრდება საკოლექციო ნარგაობაში, შემდეგ ხდება მათი შესწავლა ამპელოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით და შეფასდება მათი პოტენციური შეს-აძლებლობები.

ბუნებრივია, გურიაში არსებულ ყველა ჯიშში ორთავე მახასიათებელი სრულად ვერ აისახება. ხშირად ტარდება დეგუსტაციები, ცნობადობის ამაღლების მიზნით ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები. მე ხშირად ჩამოვდივარ გურიაში და მევენეხეობის სხვადასხვა საკითხებზე, ჯიშურ მრავალფეროვანებთან დაკავშირებით, ვატარებ ტრენინგებს.

ჩვენ პატივს ვცემთ სხვა ჯიშებსაც, რომლები დომინირებენ გურიაში („ცოლიკაური“ და სხვ.) გურიაში არის ის პოტენციალი, რომ თითოეული მუნიციპალიტეტის სოფლებში გაშენდეს ის ჯიშები, რომლებიც ჩვენ გვქონდა და ასეთი 59 ჯიშია.

—აქ წარმოდგენილ ღვინოებში ბევ-რი „ახალი“ სახელია...

— თქვენ ყურადღება „ბახვაზე“ გადაიტანეთ. საინტერესო ღვინოა. „საკმიელადან“ დაწყებული აქ წარმოდგენილია „მაური“—თეთრი, „ჭუმუტა,“„ხუშია,“„ჯანი,“„სხილათუბანი“, „ოცხანური საფერე“ (წარმოშობა გურიის სოფელ ოცხანიდანაა)...და ა.შ.

— აქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთიდან სოსო ხინთიბიძეს სხვა ღვინოებთან ერთად „ტაკიძურა“ და „კლარჯული“ აქვს წარმოდგენილი. „კლარჯული“ ასევე წარმოდგენილი აქვს გურამ ტყეშელიაძის მარანს...

—წითელი „ტაკიძურა,“ და თეთრი „კლარჯული“ ქვემო გურიაში იყო გავრცელებული. საინტერესო ღვინოებია.

—ხომ არ გეგმავთ გურიაში სანერგე მეურნეობის მოწყობას?

—ჩვენი ერთ-ერთი მიზანი ამ ადგილობრივი ჯიშების საბაზისო სანერგე მასალის წარმოებაა, რომ მომავალში რეგიონში შეიქმნას სანერგე მეურნეობა და შემდეგ სერთიფიცირებული ნერგებით მოვამარაგოთ ფერმერები...

ჩვენ, ჯიღაურაში გამოგვიყვეს საბაზისო ნერგები, რომლითაც გურიაში გაშენდება საბაზისო სადედეები, საიდანაც იწარმოება ერთგვაროვანი სერთიფიცირებული ნერგები...

—გურული ვაზის ჯიშების მოძიება-პოპულარიზაციაში თავისი წვლილი შეიტანა შემოქმედელმა ანდრო ვაშალომიძემ, ხოლო ფერმერებისთვის ნერგების მიწოდებაში კახური ტრადიციული მეღვინეობის დამფუძნებელმა, ასკანელმა ზურაბ ჩხაიძემ...

—ჩვენ ვაწარმოებდით უძველესი ვაზის ჯიშების მოძიებას მთელი საქართველოს მასშტაბით, რომელიც მიმდინარეობდა ამორტიზირებულ საკოლექციო ნარგაობებში, რომლებიც ფაქტიურად გაჩანაგებული იყო. აბორიგენ ჯიშებს ვეძებდით გურაიშიც, რაშიც უდიდესი წვლი შეიტანა ბატონმა ანდრო ვაშალომიძემ. იგი წლების განმავლობაში, ამ ცენტრის დაარსებიდან, ჩვენთან თანამ-შომლობს.

ანდრო ვაშალომიძემ ჩვენთან ერთად და დამოუკიდებლადაც არაერთი ექსპედიცია ჩაატარა გურიის სოფლებში და არაერთი ჯიში მოიძია, რომლის ნიმუშებს აგზავნის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, სადაც ხდება მათი იდენფიცირება, დადგენა, თუ რომელი ჯიშია და შემდეგ დამაგრება საკოლექციო ნარგაობაში. რამდენიმე საკოლექციო ნიმუში დამაგრებულია ჯიღაურას საკოლექციო მეურნეობაში და ეს თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

თავდაპირველად „ქართუ ჯგუფის“ მიერ დაარსებული ჯიღაურას საკოლექციო ნაკვეთიდან უფასოდ ვაწვდიდით ნერგებს მოსახლეობას, ხოლო შემდეგ, როცა გადავედით სახელმწიფო სტრუქტურაში, სახელმწიფო განკარგავდა ამ ნერგებს. ბატონმა ზურაბ ჩხაიძემ ჯიღაურაში შეიძინა ნერგების საკმაოდ დიდი რაოდენობა და უფასოდ დაურიგა იგი ადგილობრივ ფერმერებს გურიაში და აჭარაში (ქედის მუნიციპალიტეტი), რათა მომხდარიყო ამ ჯიშების დამაგრება მუდმივ ადგილზე, პოპულიზაცია და ცნობიერების ამაღლება.

— ვენახების ფართობები მატულობს, ახალი მარნებიცაა წარმოდგენილი ფესტივალზე...

—გეთანხმებით, ვენახების ფართობები მატულობს.სწორედ ხიბლი იმაშია, რომ ჩვენ, როცა გურულები წარმოდგენილი ვიყავით მონოჯიშებით (ვსაუბრობ „ცოლიკაურზე“), ახლა ნახავთ თქვენ, რომ ძალიან ბევრი მარნებია წარმოდგენილი ამ ფესტივალზე. გურული ვაზის ჯიშები აქვთ გაშენებული ამ მარნებს და უკვე კომერციული მიზნებისთვის აწარმოებენ ღვინოებს. სწორედ ეს არის ქართული ღვინოების ხვალინდელი დღე ჯიშური მრავალფეროვნებით და ხარისხობრივი მახასიათებლების რაოდენობის თვალსაზრისით. ჩვენ, გურულები საქართველოშიღვინის წარმოებაში ვერ ვიქნებით პირველები — ჩვენი მთავარი მესიჯი უნდა იყოს ჯიშური მრავალფეროვნება.

დღეს საქართველოში არსებული 525 ჯიშიდან 450-მდეა აღდგენილი და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

—გურული ვაზის ჯიშები რეგინის სხვადასხვა ზონაში სხვადასხვანაირად ხარობს...

—გურიაში 60-მდე ენდემური ჯიში იყო დაფიქსირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ჯიშები გურიის სხვადასხვა სოფლებში იყო გაშენებული და ესაა მრავალფეროვნების ნიშანი, რომ თითოეული ჯიში ყველა სოფელში მოგვცემს გარკვეულ მოსავალს, მთავარია მრავალფეროვნება და ბიოლოგიური მახასიათებლები იყოს გამოხატული.

ის, რომ ღვინო არის ნატურალური და ორგანული, მთავარია ჯიშური მრავალფეროვნება, რომელიც უნდა იკითხებოდეს ჭიქაში და მეღვინის ხელოვნება გახლავთ შეულამაზებლად გადაიტანოს ეს გემური თვისებები ჯერ სხვა ჭურჭელში, შემდეგ ჭიქაში.

ესაუბრა

ნუგზარ ასათიანი.

შეხვედრა ადგილობრივი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან

საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, დემოკრატიული ჩართულობის ქსელის ოზურგეთის ოფისში ადგილობრივი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა.

მონაწილეებს საინფორმაციო ცენტრის გურიის რეგიონული ბიუროს წარმომადგენელი **ირაკლი პაპავა** მიესალმა და ცენტრის საქმიანობა და მიმდინარე პროექტები გააცნო.

ჰიბრიდული ომების მკვლევარმა **დავით ძიძიშვილმა** მონაწილეებს ჰიბრიდული ომის თანამედროვე ტენდენციებზე, ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე არსებულ დეზინფორმაციულ ნარატივებზე, მისგან მომდინარე საფრთ-ხეებსა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტშიმედიაწიგნიერების როლზე მიაწოდა ინფორმაცია.

შეხვედრას მოდერაცია საინფორმაციო ცენტრის გურიის რეგიონული ბიუროს წარმომადგენელმა ირაკლი პაპავამ გაუწია. მისი დასრულებისას მონაწილეებს დაურიგდათ საინფორმაციო ცენტრის მიერ გამოცემული თემატური ლიტერატურა და საიმიჯო მასალები.

შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“ ფარგლებში გაიმართა, რომელსაც საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საქართველოში აშშ-ს საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

კლიმატის ცვლილებების საბჭოს გაფართოებული სხდომა გაიმართა

სასტუმრო „უინდემ გრანდ თბილისში“ მერების შეთანხმების ხელმომწერი მუნიციპალიტეტებისათვის კლიმატის ცვლილების საბჭოს გაფართოებული სხდომა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა გურიის გუბერნატორმა გიორგი ურუშაძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიიღეს.

შეხვედრაზე განიხილეს მუნიციპალიტეტების მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმების (SECAP) სამუშაო ვერსიების ძირითადი საკითხები; მოხდა მუნიციპალიტეტების მხრიდან მიღებული გამოცდილების გაზიარება და აირჩიეს საკოორდინაციო ჯგუფის თავმჯდომარე. ასევე, გაიმართა პრეზენტაცია მუნიციპალურ დონეზე კლიმატის პოლიტიკისა და მდგრადი ენერგეტიკის ინსტიტუციური გაძლიერების შესახებ.

შეხვედრა, პროექტის „ინტეგრირებული გამჭვირვალობის ჩარჩო“ (CBIT ITF) ტექნიკური მხარდაჭერით ჩატარდა. პროექტი ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) მიერ და მისი აღმასრულებელია კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus). პროექტის დაფინანსებას უზრუნველყოფს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF), ხოლო განხორციელებას გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP).

მთისპირში „ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა ჩატარდა

მდინარე ბახვისწყალზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დაგეგმილი „ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა, 2022 წლის 22 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში ჩატარდა.

საჯარო განხილვის ორგანიზატორი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოა. „ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში საჯარო განხილვაზე სააგენტოს წარმომადგენელმა წარადგინა, რის შემდეგაც სიტყვით განმახორციელებელი კომპანიის შპს „ბახვი 2“-ის დირექტორი, **მიხეილ ნიბლაძე** გამოვიდა. „ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის ტექნიკური, გარემოსდაცევითი და სოციალური საკითხების შესახებ დეტალური პრეზენტაციები ბახვი 2-ის გუნდის წევრებმა გააკეთეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში საჯარო განხილვას ესწრებოდნენ მთისპირის თემში მერის რწმუნებული **ვლადიმერ ჩავლეშვილი**, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და ბიზნესის წარმომადგენლები, ასევე მთისპირის თემის სოფლებში (მთისპირი, ოქროსქედი, ვანისქედი, უკანავა) მცხოვრები მოსახლეობა. საჯარო განხილვას ასევე, ესწრებოდნენ საგანმან-ათლებლო სექტორის წარმომადგენლებიც.

„მიგვაჩნია, რომ მდინარის კალაპოტში არსებული ჰიდრ-ოელექტროსადგურები ერთი-ანი მიდგომებითა და მაღალი სტანდარტებით უნდა იმარ-თოს. ჩვენი ხედვა და ასევე, უნდა აღვნიშნო, მოსახლეობის თხოვნაც, ბახვი 2-ის პროექტიც ჩვენს კომპანიას აეშე-ნებინა, გახდა მამოტივირებელი ფაქტორი პროექტით დაინტერესების დროს. ჩვენმა სპეციალისტებმა უცხოელ ექსპერტებთან ერთად პროექტი დახვეწეს – გაუმჯობესდა ტექნიკური პარამეტრები, მნიშვნელოვნად შემცირდა შეგუბების ფართობი. უცხოელი ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძე-ბები მნიშვნელოვნად შეუწყ-ობს ხელს ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანს. პროექტში განხორციელებული ცვლილ-ებების შედეგად მოგვიწია ნებართვების ახალ წრეზე წასვლა. სწორედ, ეს განახლებული პროექტი გამოვიტანეთ სკოპინგზე დღეს. ადგილობრივი მოსახლეობისთვის და გარემოსდამცველებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების სწორად მართვა. ჩვენ გვსურს კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმ ფაქტორს, რომ ვაშენებთ და ოპერირებას ვუწევთ პროექტებს როგორც ქართული კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების მიხედვით“ – განაცხადა შპს ბახვი 2-ის დირექტორმა, მიხეილ ნიბლაძემ.

განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. დამსწრე საზოგადოების მხრიდან აღინიშნა, რომ კომპანიამ დიდი შრომა გასწია მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან მუშაობისა და ინფორმაციის მიწოდების კუთხით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის წარმატებულად გავლის შემდეგ, ხდება გზშ-ს ეტაპზე გადასვა.

ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს ჩაბარდა 2022 წლის 2 ივნისს და ოფიციალური გვერდზე გასაჯაროვდა 2022 წლის 6 ივნისს.

გთხოვთ, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული განცხადება იხილოთ შემდეგ ბმულზე: **https://nea.gov.ge/En/GZSH/194/**

დაფინანსებული ფართი

მთისპირის საჯარო სკოლის ტრენინგ კურსის დახურვის ღონისძიება გაიმართა

2022 წლის 23 ივნისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელთათვის (9,10,11,12 კლასები), „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ მიერ გამოცხადებული სოციალური პროგრამის საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში, არაფორმალური სახის სასწავლო ტრენინგ კურსის დახურვის ღონისძიება მთისპ-ირის ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდა. ღონისძიებას მოწვეული სტუმარის რანგში მწერალი **დავით ტურაშვილი** დაესწრო. მთისპირელმა უფროსკლასელებმა დავით ტურაშვილის ლექცია მოისმინეს. შეხვედრა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა. ლექციის ბოლოს, მოსწავლეებს დავით ტურაშვილის წიგნები გადაეცათ, რომელსაც ავტოგრაფები თავად ავტორმა გაუკეთა.

ლექციის შემდეგ იმ უფროსკლასელებს, რომლებმაც ტრენინგის სრული კურსი გაიარეს სერტიფიკატები საზეიმო ვითარებაში გადაეცათ.

ტრენინგი მიზნად ისახავდა მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელებში ცნობიერების ამაღლებას გარემოს დაცვით საკითხებში, ასევე, ცოდნის გაზიარებას განახლებადი ენე-რგიის კონცეფციის შესახებ და მათთვის ინფორმაციის მიწოდებას პროფესიულ ორიენტაციის საკითხების ირგვლივ.

გარემოს დაცვით საფუძვლებსა და განახლებადი ენერგიის მოდულს უძღვებოდა **გიორგი ბერეჩიკიძე,** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის ტყის დაცვის სამმართველოს უფროსი; პროფესიული ორიენტაციის შესახებ ახალგაზრდებს ესაუბრა **ქეთევან ლობჟანიძე,** ფსიქოლოგი, „ინსაით“ ჯგუფის დამფუძნებელი და HR მენეჯერი; კომუნიკაციების შესახებ შეხვედრა ჩაატარა **სათუნა იოსავამ,** საზ-ოგადოებასთან ურთიერთობის ექსპერტმა, კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეულმა ლექტორმა 2015 წლიდან.

საგაზაფხულო სემესტრის დროს,მთისპირის საჯარო სკოლას საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციისა (GREDA) და „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ ახალგაზრდა სპეციალისტები სტუმრობდნენ. GRE-DA-ს წარმომადგენლებმა საქართველოში განახლებადი ენერგიის განვითარება-გამოყენებასთან დაკავშირებით მომზადებული მასალები გააცნეს ახალგაზ-რდებს. ინიციატივა მიზნად ისახავს, ენერგეტიკის დარგის პოპ-ულარიზაციას, სადაც ახალგაზრდა ადამიანს შეუძლია იპოვოს საკუთარი თავი, განვითარდეს პროფესიულად და ჰქონდეს წარმატებული კარიერა.

–„შედეგებიდან და ახალგაზრდებისგან მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, უკვე შემიძლია ვთქვა, რომ კურსი ფრიად ნაყოფიერი და ეფექტიანი იყო. საგაზაფხულო სემ-ესტრის განმავლობაში მთისპირ-ელმა უფროსკლასელებმა ბევრი რამ შეიტყვეს გარემოს დაცვაზე, ენერგეტიკაზე, განახლებად ენერ-გიებსა და ამ მიმართ-ულებით არსებულ პროფესიებზე. რაც უფრო მეტი ინფორმაცია ეუნებ-ათ ახალგაზრდებს პროფესიების შესახებ, რომლებიც არსებობს ჩვენს გარშემო, მით უფრო გაუმარტივდებათ სწორი არჩე-ვანის გაკეთება. ჩვენი მიზანი იყო, მაქსიმალურად საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაგვეზიარებინა მათთვის. დღეს სტუმრად მოვიწვიეთ ყველას-ათვ-ის საყვარელი, თანამედროვე ქართ-ველი მწერალი დავით ტურაშ-ვილი. საინტერესო ლექცია გვქონდა, სადაც ბევრი ვისაუბრეთ სამშობლოს სიყვარულზე, ქვეყნის განვითარ-ებაზე, მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე. დღეს ოცდასამ ახალგაზრდას გადავეცით სერტიფიკატიც. ვფიქრობ, პროექტი შედგა და მადლობა ინტერესისთვის მთისპირის საჯარო სკოლის მოსწავლეებს და მზარდაჯერისთვის სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნანა ჭეიშვილს და სრულიად ჰედაგოგიურ კოლექტივს“ – განაცხადა ბახვი ჰესის გარემოს დაცვისა და სოციალური პროექტების მენეჯერმა, **დავით მიქელაძემ.**

სასწავლო კურსი არაფორმალური განათლების ნაწილია და მოიცავდა 6 ტრენინგს, ხო-ლო სასწავლო წლის ბოლოს ექსკურსიას მოქმედ ჰიდროელექტროსადგურზე, სადაც მოსწავ-ლეებმა დაათვალიერეს გენერაციის ობიექტი, კერძოდ, „კინტრიშა ჰესი“ და გაეცნენ მისი მუშაობის თავისებურებებს. ექს-კურსიის ფა-რგლებში მოსწავლ-ეებმა ციხისძირში მდებარე პეტრას ციხეც მოინახულეს. ექ-სკურსიის ამსახველი სამახსოვრო ფოტოები მათ დღეს კომპანიის თანამშრომლებმა სერტიფიკატებთან ერთად გადასცეს.

დაფინანსებული ფართი

ერთი ფოტოს ისტორია

სხედან მარცხნიდან მარჯვნივ: მამია კვირკველია, შოთა გოლიაძე, ანნა სიხარულიძე, ლუსია ტრელიკაია, ერმილე თავამოშვილი, სიმონ ფირცხალაიშვილი, მექი ბზიავა, ვახტანგ ჯაყელი, დიმიტრი პატარავა, გივი გაგუა, სილევან მგალობლიშვილი, ვარლამ ჯაში, უჩა ურუშაძე, ქსენია თალაკვაძე.

საქართველო ყოველთვის ამაყობდა და იამაყებს მისი ისტორიული წარსულით. ამის ნათელ დადასტურებას თუნდაც ეს ფოტო წარმოადგენს. გასული საუკუნის მეორე ნახევარში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაწეული თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა მთლიანად მიეძღვნა ქვეყანაში სუბტროპიკული მემცენარეობის (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა და სხვა) არნახულ წარმოებას, რითაც საქართველო მსოფლიო ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს შორის მეხუთე მეექვსე ადგილს იკავებდა, ინსტიტუტში მისი დაარსების (1930 წ.) დღიდან მრავალი სახელოვანი ქართველი მეცნიერი აღიზარდა, რომლებმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ინსტიტუტი თავისი არსებობის 80 წლის მანძილზე წარმოადგენდა ახალგაზრდა მეცნიერ-სპეციალისტების აღზრდის საუკეთესო კერას, ძველსა და ახალგაზრდა თაობას შორის დამკვიდრებული ურთიერთპატივისცემა და სინქრონული თანაარსებობის საუკეთესო მაგალითს.

ეს ფოტოც ამაზე მიუთითებს. იგი გადაღებულია 1967 წლის სექტემბერში, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა თეორიული კონფერენციის გამართვის პერიოდში. ფოტოზე ბევრი სახელგანთქმული მეცნიერი და ახალგაზრდა სპეციალისტია გამოტანილი. სამწუხაროდ დღეისათვის მათი უმრავლესობა ცოცხალი არაა, თუმცა მათი მეცნიერული შრომები არსებობას განაგრძობენ.

ნუ დავივიწყებთ წარსულს, პატივი მივაგოთ მათ სულებს. დღევანდელმა თაობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ანასეულის, ამ ისტორიული ადგილმდებარეობის შენარჩუნებისათვის. საქართველო დღეს განსაცდელის წინაშეა და ამ უნიკალურ ადგილას ფუნქციონირებადი სამეცნიერო კვლევითი ცენტრების ხელშეწყობა ქვეყნის ხელისუფლების და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

ზაურ გაბრიჩიძე.
სმმ. მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ეკატერინე გურიელის მარტვილობა

ბებუთოვმა ამ სიაში პირველ ადგილზე რუსთა ერთგული ვახტანგ ერისთავი შეიყვანა. მთავარმართებელს აუწყა დედოფლის მტრული განწყობილება მთავრობისადმი.

გენერალმა ერმოლოვმა 1827 წლის 10 იანვარს საგანგებო ბრძანებით აცნობა გურიას, რომ მემკვიდრის სრულწლოვანებამდე გურიის მართვა-გამგეობა „საბჭოს“ ხელში გადადიოდა, რომელიც არსდებოდა სოფიო გურიელის თავმჯდომარეობით და შესდგებოდა ექვსი წევრისგან. ამ სიაში მას ვახტანგ ერისთავი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველ ადგილზე ჰყავდა მოხსენიებული. ერმოლოვის ინსტრუქციით, გურულებს ევალებოდათ განსაზღვრული საქმეების გამო „საბჭოსთვის“ მიემართათ, ხოლო თუ ვინმე „საბჭოს“ განაჩენით უკმაყოფილო იქნებოდა, მას უფლება ეძლეოდა, საქმე იმერეთის სასამართლოში გადაეტანა. თანდართული ინსტრუქციები კი მიზნად ისახავდა, გურიის სამთავრო და მისი ავტონომია მხოლოდ გარეგნულად დაეტოვებინათ, ხალხის თვალის ასახვევად, სინამდვილეში კი მისი ყველა უფლება რუსეთის მმართველობისთვის უნდა დაემორჩილებინათ. ყოველივე ამაში გურიის მოსახლეობა, მისი წარჩინებულები გურიის დედოფლის დამცირებას და მისი ღირსების შელახვას ხედავდნენ. ამიტომ, მათ 1827 წლის 3 თებერვალს მიმართეს მთავარმართებელ ერმოლოვს: „თქვენი აღმატებულების ახალი „წესდება“ – გურიის სამთავროს სახლის შესახებ, მიმართული „საბჭოსადმი“, გამოგვეცხადა ჩვენ ჩვენის მთავრინასაგან, რის გამოც უქვეშევრდომულესად შემდეგს მოგახსენებთ: მთელი გურიის მოსახლეობა ამ ახალ დაწესებაში ხედავენ დედოფლის დამცირებას, წინააღმდეგ მისი ღირსებისა იმ უბედურების შემდეგ, რაც შეგვემთხვა, ჩვენ მას ვუწოდებთ ჩვენს მფლობელს და ბატონს, ნაცვლად განსვენებული მთავრის მამია გურიელისა, ვიდრე მემკვიდრე დავითის სრულწლოვანებამდე. ამის გამო, გთხოვთ, გადასცეთ ჩვენს მთავრინას ყველა ის საქმეები, რომელიც გურიის სამთავროს შეეხება, რომელიც წინათ განსვენებულ მამიას ხელში ყოფილა, რომ დედოფალს შეეძლოს მართოს და განაგოს ჩვენი ქვეყნის საქმენი...“

იმავე დღეს დედოფალი სოფიო მიმართავდა გენერალ ერმოლოვს საგანგებო წერილით, რომ „დაწესება ამგვარ „საბჭოს“ ჩვენ მიგვაჩნია დამამცირებლად. მე შემიძლიან ვმართო ეს ქვეყანა და მაქვს ამის უფლება თანახმად ხელმწიფის დამტკიცებული ტრაქტატისა“ (8 აპრილი, 1811 წელი). გენერალმა ერმოლოვმა დაინახა, რომ დედოფლის ავტორიტეტი ძლიერია, მთელი გურია მის უკან დგას და არავინ ფიქრობს მთავარმართებლის ბრძანების შესრულებაზე, რომ დედოფალმა სამი თვის განმავლობაში ყველა საქმე გააჩერა და გურიას ძველი წესისამებრ ის და მისი მრჩეველნი განაგებენ. ერმოლოვი დედოფალს წერდა, რომ იგი დიდად გაოცებულია სოფიოს უცნაური საქციელით, პეტიციებით გურიის ხალხისაგან... „ნუ მაიძულებთ ეს თხოვნა ძლიერი მოთხოვნით შევცვალოთო“. მაგრამ ერმოლოვი ისე მოსცილდა კავკასიის მმართველობას, რომ პატარა გურიის „ურჩობა“ და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა ვერ გატეხა. გენერალი ერმოლოვი პასკევიჩმა შეცვალა. ახლა რუსეთი, ქართველების დახმარებით, ცდილობდა დედოფალზე გავლენა მოეხდინა და იმერეთიდან შუაკაცებად დედოფლის ახლო ნათესავები ქაიხოსრო წერეთელი და სეხნია წულუკიძე გაგზავნა, მაგრამ არც ამან იმოქმედა დედოფალზე. კანცლერი დავით მაჭუტაძე ძველებურად სიმტკიცისა და გურიის ციხეების გამაგრებას ურჩევდა დედოფალს. შემდეგ გენერალმა პასკევიჩმა და გენერალმა სიპიაგინმა დედოფალს გამოცდილი მოხელე ფალავანდიშვილი მიუგზავნეს, რომელიც შეეცადა დავით მაჭუტაძის, გიორგი ნაკაშიძისა და სხვათა დაყოლიებას, ფიქრობდა, ეს საჭირო იყო დედოფლის დათანხმებამდე. თითქოსდა, ფალავანდიშვილმა შეძლო დედოფლის დაყოლიება, იგი თანახმა იყო, რომ ვახტანგ ერისთავი მიეღოთ „საბჭოს“ წევრად, ოღონდ სოფიომ მოითხოვა ზოგიერთი უფლების აღიარება:

1. რათა ხალხში მისი ღირსება დაცული იყოს, მას უნდა ეწოდოს არა „საბჭოს“ თავმჯდომარე, არამედ დედოფალი ან მთავრინა, ისე, როგორც სამეგრელოს დედოფალს.

2. დედოფალი რომ განირჩეოდეს „საბჭოს“ ყველა წევრთაგან, საჭიროა მთავრობის ქაღალდები მიმართულ იქმნან დედოფლის სახელზე.

3. დედოფალი თანახმაა, „საბჭოს“ წევრად მიიღოს ვახტანგ ერისთავი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში გიორგი ერისთავი, რომელიც მთავრის ოჯახის მტერი იყო;

4. თუ მთავრინამ და „საბჭომ“ შეამჩნიოს წევრის შეუსაბამო საქციელი, უფლება უნდა ექმნათ მისი „საბჭოდან“ გარიცხვისა.

5. საბჭოს განაჩენით უკმაყოფილოს არ უნდა ჰქონდეს უფლება საქმის გადატანისა იმერეთის დროებით მმართველობაში, რადგან ეს ეწინააღმდეგება უმაღლესად წოდებულ ტრაქტატს. ამ განცხადებათა შემდეგ ფალავანდიშვილი უკმაყოფილო წამოვიდა გურიიდან, მაგრამ მან გაიგო და ნახა ის ადგილი, სადაც გურიის მთავარი და ხალხი თურქებსა და მტრებს ემალებოდნენ. ეს იყო ასკანის ციხე, რომელსაც მაჭუტაძის ხალხი დღენიადაგ ამაგრებდა კიდეც. გენერალი პასკევიჩი მოითხოვდა ინსტრუქციით „საბჭოს“ მუშაობის წარმართვას. თუ დედოფალს არ სურს, უკიდურეს ზომებს მივმართაო. გურიის „საბჭოს“ ირგვლივ ატეხილი დავა არ იყო გადაწყვეტილი, რომ 1828 წელს კავკასიაში რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. ამ ომში გურიის დედოფალს ოსმალეთის გამარჯვების იმედი ჰქონდა. სოფიო აჭიანურებდა „საბჭოს“ შესახებ მოლაპარაკებას. მას სურდა, მისი ერთგულნი ყოფილიყვნენ გურიის სამთავროს „საბჭოში“. 1828 წლის მაისის დამლევს პასკევიჩი გენერალ დიბიჩს აცნობებდა, რომ იმერეთის ახალი მმართველის გესსეს ინფორმაციით, დედოფალი სოფიო შემჩნეულია რუსეთისადმი აშკარა მტრულ განწყობილებაში, დედოფალი სასახლეში იღებს ოსმალთა ბეგებს და მათთან საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებსო. ამას ადასტურებს სოფიო გურიელისა და დავით ბატონიშვილის ხელმოწერებით გაგზავნილი წერილები ოსმალეთის ხელისუფლებისადმი, მათ მფარველობაში მიღებისა და დახმარების თხოვნით. ოსმალური ორიენტაცია რომ კარგს არაფერს მოუტანდა, ეს სოფიომ კარგად იცოდა, მაგრამ იგი სამთავროს გადარჩენაზე ფიქრობდა და ოსმალეთი ამ საქმეში დიდად ეიმედებოდა. ტრაპიზონის მბრძანებელ ჰაჯი ჰასან ფაშასადმი გაგზავნილ წერილში „სრულიად გურიისა და სხვათა დედოფალი სოფიო“ ითხოვს სულთნისგან თანხმობას, გურიის სამთავროს ოსმალეთის მფარველობაში მისაღებად. „ახლა თუმცა ღვთის მოწყალებით არაფერი გვიჭირს და ჩემი ქვეყანაც უვნებლად ხელში მაქვს, მაგრამ კიდევაც ეს არის, ჩემი ოჯახი და ჩემი ქვეყანა მათ საფარველს ქვეშ მიმიტანია და აწ თქვენ იცით და თქვენმა დიდმა ხარისხოვნებამ, რასაც საფარველს და შემწეობას მოგვცემთ. დღეის იქით ყოლისფერზე თქვენი მოიმედე ვართ... მოგეხსენებათ, ჩვენი ოჯახი რა ხარისხის მქონე არის და ამ საქმეს უფრო ამისთვის ვშრომობთ, რომ უფროსობამ, ხილიჯ-კაფთალი და ძველად რაც არ გვქონებია, იმის ფერვანი გვებოძოს“, – წერდა ფაშას დედოფალი. მფარველობაში მიღებამდე კი ვინიცობაა რაიმე დასჭირდებოდა, ითხოვდა შემწეობას ყველა საქმეში... ახალციხის მფლობელ ახმედ ფაშასთან კი იგი ითხოვს ოსმალებისგან საჩქაროდ დახმარებას. „გთხოვ, რომ სანამდე ჩვენს საქმეს მათ დიდებულებას, ცათა სწორ ხელმწიფეს აცნობებდეთ, იქნებ მაქამდის ჯარი, თეთრი თუ ტყვია-წამალი დაგვჭირდეს და გთხოვთ უმდაბლესად, რომ გვებოძოს, ჩვენ ამისთვის მივენდვეთ თქვენს მაღალხარისხოვნებას, რომ საჩქაროდ შემწეობას მოგვცემთ და ხელმწიფესთანაც ისე წარგვადგენთ. სხვას ჩვენს სიტყვას ახმედ ბეგი მოგახსენებთ“ (ახმედი ზემო აჭარის მმართველ სელიმ ხიმშიაშვილის შვილი იყო). ანალოგიური წერილი გაუგზავნა დედოფალმა არზრუმის სერასკირსაც. სოფიო გურიელი მას სულთანთან შუამდგომლობას სთხოვდა. სოფიოს მცდელობამ შედეგი გამოიღო. ოსმალეთის სულთანმა, რომელიც თავადაც დიდი ხანია ეძიებდა გურიის სამთავროსთან ასეთი ურთიერთობის დამყარებას, რუსეთთან ომის დაწყების შემდეგ დედოფლისა და ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილის თხოვნა დიდსულოვნად „შეიწყნარა“ და მათ დახმარება და მფარველობა აღუთქვა. ივნისის დასაწყისში სოფიომ ტრაპიზონის ფაშასგან გურიის სამთავროს ოსმალეთის მფარველობაში მიღებისა და დავით გურიელის მთავრად დამტკიცების დამადასტურებელი სულთნის საგანგებო ფირმანი მიიღო. მოგვიანებით დავითს წარმოუგზავნეს ხმალი და დედოფალს – ქურქი და სხვა საჩუქრები“ (ირაკლი ბარამიძე). დავით გურიელისათვის უმაღლესი ფირმანის ბოძებით დიდად გაიხარეს გურიის თავადებმა და გურიელის სახლიშვილებმა. მაგრამ ოსმალეთის ხელისუფლება, რომელმაც იცოდა გურიის მოსახლეობის დიდი ნაწილის ანტიოსმალური განწყობილება, დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა სოფიო გურიელთან პირდაპირ თანამშრომლობას. სულთანი დედოფლისგან, მფარველობის სანაცვლოდ და ერთგულების დამტკიცების ნიშნად, გურიიდან რუსების განდევნას ითხოვდა, პარალელურად კი, გურიის საზღვარზე ათიათასიან ჯარს

უყრიდა თავს. ოსმალეთს სურდა, რუსების რეგიონიდან განდევნის საქმეში გურიის მოსახლეობის დახმარება. ამას ითვალისწინებდა გურიის დედოფალი და ცდილობდა, პორტასთვის სხვა ინტერესიც გაელვიძებინა: „რუსის განდევნა არაფერია, მაგას საკუთარი ძალებითაც მოვახერხებთ. ჩვენ სხვა ტერიტორიების დაპყრობაზე უნდა ვიფიქროთ და მსოფლიოს დავანახოთ, რომ გურია ოსმალეთისაა“, – ეშმაკურად პასუხობდა დედოფალი. სოფიო გურიელი ითხოვდა თოფ-იარაღით, ტყვია-წამლით და ფულით შეწევნას. ამ დახმარების სწრაფად მიღების მიზნით, მურავ ქაიხოსრო თაყაიშვილს და დათა ბატონიშვილსაც აგზავნიდა ახმედ ბეგთან, მაგრამ დედოფლის იმედების გაცრუება მალე დაიწყო. ახმედ ბეგმა სოფიოსაგან ასკანისა და ლიხაურის ციხეების მიცემა მოითხოვა. დედოფალმა უპასუხა, მე არავისთვის მითქვამს ამ ციხეების გაცემა, ამ ორი ციხის გაცემა არ შემიძლია. ერთში სრულებით ჩემი საცხოვრებელი რაც არის, იქ მიწყვია და მეორეში ჩემი ბავშვები მყავს. დედოფალი, ამ ორი ციხის სანაცვლოდ, პირდებოდა ნაგომარს, ოზურგეთსა და ბაილეთს „ოზურგეთი პირველი ჩემი სასახლე და ციხე არის, ნაგომარი შუა გურიას დგანა და ბაილეთი – სანაპიროზე. და ვისაც ეს სამი ციხე აქვს, გურიაც მისი არის“. სოფიო გურიელი უფრო შორს მიდის და შვილის მძევლად მიცემასაც ჰპირდება და კვლავ გამოთქვამს სულთნის ერთგულების სამსახურში მზადყოფნას (ირაკლი ბარამიძე). პასკევიჩმა ახლა სოფიოსთან დედოფლის ნათესავი ქაიხოსრო წერეთელი გაგზავნა და მას შეუთვალა, გაეწყვიტა ოსმალო აგენტებთან კავშირი, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მმართველობას დიდი უბედურება დაატყდებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ პასკევიჩმა ეს გაფრთხილება დედოფალს თავადაც აცნობა, რომ რუსეთის ქვეითი ჯარი და კავალერია ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად დაიძრა და დაემუქრა სტამბოლს. „ახლა დედოფალს თავად შეუძლია გამოიტანოს დასკვნა, თუ რა დღე მოელის ოსმალეთს და ყველას, ვინც მას მიენდობა. ახლა თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა გაიმართლოთ თავი... თქვენი მოქმედება ამ ომში ყველაფერს გადაწყვეტს. ახლავე აუკრძალეთ თქვენს ქვეშევრდომთ ოსმალებთან რაიმე კავშირი. მოვალე ხართ, თქვენ დაემორჩილოთ გენერალ გესსეს თითოეულ განკარგულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი ერთგულება რუსეთისადმი არ დამტკიცდება და თქვენ იქნებით პასუხისმგებელი შედეგებისთვის“. რუსეთ-ოსმალეთის ომი გაცხოველდა, დედოფალ სოფიოს იმედი ჰქონდა, რომ ამ ომს ოსმალები მოიგებდნენ. ახლა საქმე „საბჭოს“ კი არ შეეხებოდა, არამედ გურიის სრული დამოუკიდებლობის აღდგენასა და იმერეთში შეჭრასაც. ქობულეთსა და აჭარაში ბეგები ქართული მოდგმისა იყვნენ, მათთვის უფრო სასურველი იყო იმერეთის სამეფოს აღდგენა, ვიდრე იქ რუსთა დამკვიდრება.

გესსე გენერალ სიპიაგინს აცნობებს, რომ დედოფალი სოფიო განუწყვეტლივ კავშირშია ოსმალებთან და აშკარად გადაუდგა რუსეთსო, რომ დედოფალმა მიიღო პირადი ფირმანი ხონთქრისაგან, რომლითაც ოსმალეთს გურიის სამთავრო თავის მფარველობაში აჰყავსო. დავით მაჭუტაძის მომხრეები თავს ესხმიან რუსთა ერთგულ მეგრელებსო.

რუსეთი გურიაში საგანგებო პროკლამაციებს ავრცელებდა. ამ პროკლამაციებს პასკევიჩი თა ურთავდა თავის ბრძანებას: რუსეთი გურიის სამთავროს ცნობას და „ტრაქტატს“ არ აუქმებსო, ამ პროკლამაციით დედოფალი სოფიო, თუმცა გამოცხადებულია მოღალატედ, რომელსაც შესაფერისი სასჯელი მოელის, მაგრამ გურიას რჩება მემკვიდრე დავითი, რომელსაც დედის საშინელ ღალატში არავითარი წილი არ უდევს და ამ ახალი მთავრის უმაღლესი მფარველის – რუსეთის ერთგულება გურულებმა სწორედ ახლა უნდა დაანახონ ქვეყანასო... „თქვენი დედოფალი სოფიო დაბრმავებულია თურქეთის ფაშათა გაიძვერობით, შევიდა მათთან კავშირში, მიიღო მათგან საჩუქრები როგორც მისთვის, ისე თავისი მცირეწლოვანი შვილისთვის. ამით მან უღალატა ფიცს და დაივიწყა რუსეთზე მიცემული სიტყვა, დამორჩილდა თურქეთს, მთელმა ქვეყანამ იცოდა იმპერატორის ძლიერება. მისი მოუფიქრებელი მოქმედება ვერ დაემალება დამსახურებულ სასჯელსო“.

იგივე პროკლამაცია მოუწოდებდა გურულებს ერთგულებისაკენ, რომ რუსეთის მთავრობას სჯერა გურულთა მოქმედება ამ ომის დროს იმდენად სასარგებლო იქნება, რამდენადაც სამარცხვინო და დამღუპველი დედოფალი სოფიოსთვის. დედოფალი მთელ გურიას უყვარდა. ყველა თაყვანს სცემდა მის სიმტკიცეს და მხნეობას, მის ბრძოლას გურიის სათავროს უფლებამოსილებისთვის, მაგრამ როცა საკითხი დადგა – რუსეთთან თუ ოსმალეთთან, აქ გურიის ერთი ნაწილი დედოფლის პოლიტიკას განუდგა, მაგრამ არც რუსეთს მიემხრო. მათთვის ოსმალეთი მიუღებელი იყო, მათ თათრის არაფერი სწამდათ, კარგად ახსოვდათ მათგან ჟლეტისა და რბევის ამბავი. ახსოვდათ, როგორ დაეუფლა ოსმალო აჭარას და გურიის უძველეს ნაწილს ქობულეთს, სადაც ძალადობით ისლამი და „გათათრებაც“ შეიტანა. შესაძლოა, გურულების ერთი ნაწილის განდგომამ ჩააფიქრა დედოფალი, მან, ძველი ერთობის აღდგენის მიზნით, სცადა რუსეთთან მოლაპარაკება. როგორც ამბობენ, სოფიოს სურდა დროის მოგება და მოლაპარაკების გაჭიანურება. დედოფალს, არქიეპისკოპოს სოფრომის საშუალებით, უცდია მოლაპარაკება. გენერალი პასკევიჩი კი ფიქრობდა, ახლა რუსეთი როგორც ევროპის, ისე აზიის ფრონტებზე ომს იგებს, მას არავითარი დათმობა არ სურდა დედოფალთან. იგი მოითხოვდა ყოველგვარ პირობათა გარეშე გურიის დედოფალი რუსეთს დამორჩილებოდა. მთავარმართებელი სამინისტროს აუწყებდა, რომ ყოვლად დაუშვებელია დედოფლის ნდობა, მან აშკარა ღალატი ჩაიდინა და არათუ მიენდო ოსმალებს, არამედ ამანათად თავისი ასული კოჭიბროლაც კი მისცა. ეს არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, რადგან კოჭიბროლა გურიაში იმყოფებოდა, რაც დადასტურებულია სხვადასხვა საბუთით.

ახლა პასკევიჩი უფრო მკაცრი იყო, იგი „საბჭოსაგან“ დედოფლის ჩამოშორებას ითხოვდა.

გენერალ პასკევიჩს გურიის სამთავროსთვის ასეთი გეგმა ჰქონდა:

1. თუ მთავრინა ყოველგვარ პირობათა გარეშე რუსეთის მორჩილებაში მოექცეოდა, მაშინ უნდა დაარსებულიყო „საბჭო“, რომლის თავმჯდომარე იქნებოდა რუსეთის მოხელე, დედოფალი ყოველგვარი საქმიანობიდან უნდა ჩამოეშორებინათ.

(გაგრძელება იქნება)

მანანა ლომაძე

გაგარძელება, დასაწყისი „ალიონი“ №16

თამაზ კოსტავა: „ბექა გოგოლაური ძალიან კარგი ტალანტია და კარგი ფეხბურთელი უნდა გახდეს“



–„ბექა გოგოლაური ძალიან კარგი ტალანტია ფეხბურთში, უყვარს თავისი საქმე და გვიყვარს მთელ გუნდს, კარგად ითამაშა ტურნირებზე, ძალიან კარგი ახალგაზრდაა, აქვს წინსვლა და წარმატებული ფეხბურთელი უნდა გახდეს“ – გაზეთ „ალიონთან“ სატელეფონო საუბარში ასე დაახასიათა ოზურგეთელი ბექა გოგოლაური, წარსულში თბილისის „დინამოს“ საუკეთესო მცველმა, დიუსელდორფის ტრიუმფის მონაწილემ, თბილისის 35-ე სკოლის მთავარმა მწვრთნელმა **თამაზ კოსტავამ.**

ბექა გოგოლაური გოჩა კრასოტკინმა გაგვაცნო. იგი ბებისათან–ადელიკო გოგოლაურთან ერთად გვესტუმრა რედაქციაში.

ბექა გოგოლაური 13 წლისაა. დაამთავრა ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის 8 კლასი. ფეხბურთის თამაში 4 წლის წინ დაიწყო ოზურგეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ გაერთიანებასთან არსებულ ბავშვთა სპორტულ სკოლაში მწვრთნელ გოჩა კრასოტკინთან.

ბექა მცველის ამპლუაში გამოდის მოედანზე. თანატოლებთან ერთად იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის 15-წლიანთა ტურნირის გამარჯვებული, მეორეადგილოსანი ღაბუჩას თასზე, თბილისის 35-ე სკოლის ღია ჩემპიონატის გამარჯვებული.

– შარშან, თბილისში ტურნირის დასრულების შემდეგ, სადაც ბექა გოგოლაური საუკეთესო მცველად დაასახელეს, მისით დაინტერესდნენ სკოლის დირექტორი გოჩა ავსაჯან-იშვილი და მთავარი მწვრთნელი თამაზ კოსტავა. სინჯებზე კარგი შედეგი აჩვენა და თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლაში ჩარიცხეს. იგი ოზურგეთში მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაშობდა, აქ კი ამპლუა შეუცვალეს და შუა უკანა მცველია –გვითხრა **გოჩა კრასოტკინმა.**

– ძალიან მიყვარს ჩემი №2სკოლა, ის გუნდი, რომელშიც მე ოზურგეთში ვთამაშობდი, მაგრამ ჩე-მთვის დიდი პატივია თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის მაისურით ვითამაშო. ძალიან თბილი შეხვედრა მქონდა თბილისში, ბატონი თამაზ კოსტავა და ასევე მწვრთნელი აკაკი კრასოტკინი ყურადღებას არ მაკლებენ. უფასოდ ჩამრიცხეს, ვიცხოვრებ საფეხბურთო სკოლის სასტუმროში, ჩვეულებრივად გავაგრძელებ სწავლას სკოლაში. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს პირველ მწვრთნელს გოჩა კრასოტკის და ყველა პედაგოგს ჩემზე ამაგისათვის. – ამბობს **ბექა გოგოლაური.**

როგორც მან გვითხრა, უნდა წარმატებული ფეხბურთელი იყოს და სკოლის დამთავრების შემდეგ სპორტის აკადემიაში აპირებს ჩაბარებას, მწვრთნელი უნდა გახდეს.

–ბექას ძალიან უყვარს ფეხბურთი. წელს, სექტემბერში 14 წლის გახდება. თბილისში მის გვერდით ვიქნები. ხელს შევუწყობ, რომ კარგად ისწავლოს და კარგი ფეხბურთელი გახდეს – გვითხრა ადელიკო გოგოლაურმა.

წარმატებები ბექას!

ბავშვთა გუნდი „მერცხალი“ გათამაშების ლიდერია

აჭარა-გურის ღია პირველობაზე 12-13 წლის ბავშვებს შორის, ოზურგეთის „მერცხალი“ მონაწილეობს.

„მერცხალმა“ ხუთივე შეხვედრა მოიგო: „მაჭახელა“ ბათუმი–მერცხალი 0-4; „ცეცხლაური“ ქობულეთი– „მერცხალი“ 1-5; „ლომები“ ქობულეთი – მერცხალი 0-5: „მერცხალი“– „ლომები“ ქობულეთი 4-3.

გასულ ხუთშაბათს „მერცხალი“ ქობულეთში ადგილობრივი სპორტსკოლის გუნდს შეხვდა და დიდი ანგარიშით 1:11 დაამარცხა. გოლები: შეწირული 5, ბამამიძე 4, მჟავია, ხოხლენკო 1-1.

მომდევნო ორ ტურს „მერცხალი“ ქობულეთის სხვა გუნდებთან გამართავს.

გუნდის ბომბარდირმა **ირაკლი შეწირულმა** 5 მატჩში 14 გოლი გაიტანა.

გუნდის მწვრთნელია **ვახტანგ ჩხაიძე.**

სკანვორდი



პასუხები:



ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1906-1907 წწ.)

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად



1906 წლის ზაფხულშივე რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების პროექტი ზოგიერთი ცვლილებით დაამტკიცეს.

რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ ხდება თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სტრუქტურული დახვეწა, დაიწყო ახალი რაიონული ორგანიზაციების შექმნა. 1906 წლის სექტემბრისათვის რსდმპ თბილისის ორგანიზაციის სტრუქტურა ასე გამოიყურებოდა: რსდმპ 25 შეგნებული წევრი ქმნიდა **უჯრედს**, რომელიც ირჩევდა ერთ **წარმომადგენელს** რაიონულ კომიტეტში. თბილისში არსებობდა შვიდი რაიონული კომიტეტი: **1. დიღუბის, 2.ვაგზლის (ნაძალადევი და ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები), 3. ჩუღურეთის, 4. ცე-ნტრალური, 5. ორთაჭალის (მასში შედიოდა ხარფუხი), 6. ავლაბრის, 7. ვერის.** რაიონული კომიტეტები ირჩევდნენ თითო წარმომადგენელს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის **ხელმძღვანელ კოლექტივში,** რომელიც შედგებოდა შვიდი წევრისაგან. ხელმძღვანელი კოლექტივი სათავეში ედგა მთელ პარტიულ მუშაობას ქალაქის მასშტაბით. ხელმძღვანელი კოლექტივის გვერდით არსებობდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტი. მისი წევრები ყველა უჯრედის წარმომადგენლები იყვნენ. **აღმასრულებელი კომიტეტი** თავისი რიგებიდან გამოყოფდა **ტექნიკოსს, სამხედრო შტაბს და სარედაქციო კომისიას**. ტექნიკოსი განაგებდა პარტიულ ლიტერატურას, სტამბას და ნაწილობრივ, შეიარაღების საქმეს. ფაქტობრივად, ტექნიკოსს ემორჩილებოდა სამხედრო შტაბი, რომელსაც ჰყავდა სამი კომისია: **1.სამხედრო კომისია, რომელიც განაგებდა საბრძოლო რაზმეულების შეიარაღებას, 2. დევნილთა კომისია, რომელიც განაგებდა პოლიტიკური მოტივით დევნილების დაცვის საქმეს, 3. ციხის კომისია, რომელიც დახმარებას უწევდა პოლიტიკურ პატიმრებს.**

რსდმპ თბილისის კომიტეტს ჰყავდა ძლიერი **საბრძოლო რაზმეულები,** რომელთა შექმნა მიმდინარეობდა რეგულარული არმიის პრინციპით, ე. ი. იქმნებოდა ათეულები, ოცეულები, ასეულები და ა. შ.

დღეისათვის შემორჩენილი საარქივო და სხვა ხასიათის დოკუმენტური მასალა არ იძლევა იმის საშუალებას, ზუსტად დადგინდეს სხვა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების (ბათუმის, გურიის, იმერეთ-სამეგრელოს) სტრუქტურა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი სტრუქტურა დაახლოებით იგივე იყო, რაც თბილისის ორგანიზაციისა.

რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდე, მწვავე ფრაქციული უთანხმოების პირობებში დაიწყო მზადება რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების IV ყრილობისათვის, რომელიც 1906 წლის სექტემბერშიგაიმართა. ყრილობამ მუშაობა დაიწყო თბილისში, შემდეგ სხდომები გადაიტანეს ბაქოში. მას ესწრებოდა 58 დელეგატი (43 გადამწყვეტი ხმით, 15 სათათბირო ხმით). დელეგატები არჩეული იყვნენ **თბილისის, ბაქოს, ერევნის, ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურის, სოხუმის, ელისავეტოპოლის, გურიის, ფოთის, სამტრედიის, რაჭის, ხაშურის, ბორჯომის, სიღნაღისა და დუშეთის** ორგანიზაციებიდან. ყრილობის უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოხსენებანი;

2. მიმდინარე მომენტი და ტაქტიკის საკითხები;

3. ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების რეორგანიზაცია;

4. პროფესიული კავშირები;

5. ეროვნული საკითხი;

6. გლეხთა მოძრაობის შესახებ;

7. დამოკიდებულება სხვადასხვა ოპოზიციურ და რევოლუციურ პარტიასთან;

8. ჯარისკაცთა შორისმუშაობა;

9.სამხედრო-ტექნიკური საქმე;

10. პარტიული ლიტერატურა;

11.სხვადასხვა.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების IV ყრილობამ ყველა ძირითად საკითხზე იგივე დადგენილება მიიღო, რაც რსდმპ IV (გამაერთიანებელმა) ყრილობამ. ბოლშევიკების მიერ ჩაფიქრებული რევანში არ შედგა.

საინტერესოა, რომ ყრილობაზე ქუთაისელმა დელეგატებმა (მენშევიკებმა) წამოაყენეს **კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის** მოთხოვნა, რამაც ბოლშევიკი დელეგატების დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების IV ყრილობა დამთავრდა მენშევიკური და ბოლშევიკური ფრაქციების ფორმალური გაერთიანებით, აირჩიეს **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი** ცხრა წევრისა და ხუთი კანდიდატის შემადგენლობით. კომიტეტის წევრთა უმრავლესობას მენშევიკები შეადგ-ენდნენ. საოლქო კომიტეტის არჩევით რსდმპ კავკასიის კავშირმა არსებობა შეწყვიტა.

რსდმპ კავკასიის კავშირის დაშლითა და რსდმპ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის შექმნით ბოლშევიკებმა დათმეს ყოველგვარი პოზიცია საქართველოში. არც ერთი კომიტეტი 1907 წლიდან 1917წლის ჩათვლით საქართველოში ბოლშევიკთა ხელში აღარ გადასულა. 1907 წლიდან იოსებ სტალინი საქართველოში აღარ მოღვაწეობს, ფილიპე მახარაძეც ხანგრძლივი ვადით ტოვებდა ხოლმე ქვეყანას. ასე რომ, ქართველი ბოლშევიკები, ფაქტობრივად, ლიდერის გარეშე დარჩნენ. ამან და კიდევ სხვა მიზეზებმა განაპირობა ბოლშევიკების გავლენის მინიმუმამდე შემცირება საქართველოს მუშათა კლასში. მთელ სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას სათავეში ედგნენ ქართველი მენშევიკები: **ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, ისიდორე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი** და სხვები. ქარ-თველ მენშევიკთა პოპულარობას საზ-ოგადოების ფართო ფენებში განსაკ-უთრებით შეუწყო ხელი მათმა წარმატებამ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში და ხანგრძლივი დროის განმავლობაში სათათბიროებში მოღვ-აწეობამ. 1906 წლის მარტ-აპრილში ჩატარდა პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სულ საქართველოდან სათათბიროში აირჩიეს 8 დეპუტატი. მათ შორის 5 სოციალ-დემოკრატი იყო. კერძოდ, სათათბიროს დეპუტატები გახდნენ: **ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, სერგო ჯაფარიძე, ივანე გომართელი და სვიმონ წერეთელი.** სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერად აირჩიეს **ნოე ჟორდანია.** კიდევ უფრო მეტი წარმატებები მოჰყვა მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს, რომელიც 1907 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარდა. საქართველოდან სათათბიროში 8 დეპუტატი აირჩიეს, რვავე დეპუტატი სოციალ-დემოკრატი იყო. ამჯერად დეპუტატები გახდნენ: **ირაკლი წერეთელი, არჩილ ჯაფარიძე, ჭოლა ლომთათიძე, კონსტანტინე კანდელაკი, ნიკოლოზ კაციაშვილი, გერასიმე მახარაძე, სევერიან ჯუღელი და არშაკ ზურაბოვი.** სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერად აირჩიეს **ირაკლი წერეთელი.** მასთან ერთად ფრაქციის ლიდერის როლში გამოდიოდა **არჩილ ჯაფარიძე.** ქართველი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, მათი ბრძოლა დემოკრატიისა და სოციალური თანასწორობისათვის, გაბედული გამოსვლები შავრაზმელური ძალების წინააღმდეგ განუხრელად ზრდიდა ქართველი სოციალ-დემოკრატების ავტორიტეტს მთელ იმპერიაში.

თბილისელმა ბოლშევიკებმა, იოსებ სტალინის ინიციატივით, 1907 წლის დამდეგს, მას შემდეგ, რაც პარტიულ ფორუმებზე ბრძოლა წააგეს, შექმნეს თავიანთი დამოუკიდებელი ცენტრი. ცენტრის შექმნა რსდმპ წესდებით ან რაიმე საგანგებო დადგენილებით არ იყო გათვალისწინებული. ამ ორგანოს კონსპირაციული მოსაზრებით უწოდეს **„თბილისის ბოლშევიკების ლიტერატურული ბიურო“**. ბიუროს შემადგენლობაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: **იოსებ ჯუღაშვილი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, სტეფანე შაუმიანი, პავლე ჯაფარიძე, ვიქტორ ნანეიშვილი, მიხეილ დავითაშვილი, სურენ სპანდარიანი, ზაქრია ჩოდრიშვილი** და სხვ. „თბილისის ბოლშევიკების ლიტერატურული ბიურო“ ვერ გახდა პარტიული მუშაობის ცენტრი, პოპულარობა ვერ მოიპოვა მუშებში და იოსებ სტალინის თბილისიდან წასვლის შემდეგ პრაქტიკულად შეწყვიტა კიდეც არსებობა.

ქართველი სოციალ-დემოკრატები რსდმპ V ყრილობაზე

რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე მარცხის შემდეგ ბოლშევიკები ვლადიმირ ლენინის მეთაურობით მოითხოვდნენ პარტიის მორიგი, V ყრილობის მოწვევას. ყრილობის დელეგატების არჩევნებმა საქართველოში ნათლად აჩვენა ძალთა თანაფარდობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში. არჩევნები ქართველი მენშევიკების სრული უპირატესობით წარიმართა.

რსდმპ V (ლონდონის) ყრილობა მიმდინარეობდა 1907 წლის 30 აპრილიდან 19 მაისამდე (13 მაისიდან - 1 ივნისამდე). ყრილობას ესწრებოდა 303 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 39 სათათბირო ხმით პარტიის 150 ათასი წევრისაგან. გადამწყვეტი ხმით 177 დელეგატი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისაგან იყო (89 ბოლშევიკი და 88 მენშევიკი), 45 - პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის, 26 - ლატვიის სოციალ-დემოკრატიის, 55 - ბუნდისაგან. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო რსდმპ 100, პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის - 8, ლატვიის სოციალ-დემოკრატიის - 7, ბუნდის - 30 ორგანიზაცია, სულ – 145 პარტიული ორგანიზაცია. საქართველოდან დელეგატები აირჩიეს თბილისის, გურიის, ქუთაისის, ბათუმის, სამეგრელოს, ფოთის, თელავის და ბორჩალოს ორგანიზაციებისაგან. სულ არჩეული იქნა 28 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 10 სათათბირო ხმით. გადამწყვეტი ხმის მქონე დელეგატებს შორის 26 მენშევიკი იყო, 2 - ბოლშევიკი, სათათბირო ხმის მქონე დელეგატთაგან - 7 მენშევიკი და 3 ბოლშევიკი. გადამწყვეტი ხმითთბილისის ორგანიზაციიდან ყრილობას ესწრებოდნენ მხოლოდ მენშევიკები: **ვლასა მგელაძე (ტრია), ს. ბარსოკაძე (ტოკარევი), გრიგორიევი, პ. წულაია (დეპო), ნოე რამიშვილი (ბორცოვი), ა. ვარსკი (ადოლფი) გიორგი ერაძე (ბრადინი), გიორგი პლეხანოვი, ნოე ჟორდანია (კოსტროვი), ა. ჭიაბრიშვილი (ჭრელი);** გურიის ორგანიზაციიდან - მხოლოდ მენშევიკები: **ვ. ჯიბუტი (ვარდენი), არსენ წითლიძე (შუბინი), რაფიელ ჩიხლაძე (ალექსიძე), ალექსანდრ პოტრესოვი (სტაროვერი), ბიკენტი(ჭოლა) ლომთათიძე (ჰასანი), ს. პაიჭაძე (კრეპკი), პაველ აქსელროდი, ვ. კრონმალი (ზაგორსკი), ნიკოლაევი;** ქუთაისის ორგანიზაციიდან მხოლოდ მენშევიკები: **თევდორე კიკვიძე (ჭაღარა), მ. ნინიძე (ლეონიდე), გრიგოლ ლორთქიფანიძე (სპირიდონოვი);**ბათუმის ორგანიზაციიდან – მენშევიკი **ბ. ნიკოლაევსკი (გოლოსოვი)**; სამტრედიის ორგანიზაციიდან – მენშევიკი **კ. ჩაჩავა (კოლხიდელი)**;ფოთის ორგანიზაციიდან – მენშევიკი **გრიგოლ ურატაძე(ვანო)**; თელავის ორგანიზაციიდან: ბოლშევიკები **სტეფანე შაუმიანი (სურენინი) და ა. კახოიანი (ბორჩალინსკი).** სათათბირო ხმით ყრილობას ესწრებოდნენ: თბილისის ორგანიზაციიდან – ბოლშევიკი **იოსებ ჯუღაშვილი (ივანოვიჩი)**; ბორჩალოს ორგანიზაციიდან: ბოლშევიკი **მიხა ცხაკაია (ბარსოვი)** და **ალექსეი პეშკოვი (გორკი)**, მენშევიკები **ლევ ბრონშტაინი (ტროცკი)** და **ოსიპ პეტერბურგსკი;** მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან: **ირაკლი წერეთელი, კონსტანტინე კანდელაკი, არჩილ ჯაფარიძე, სევერიან ჯუღელი, გერასიმე მახარაძე.**გარდა ამისა, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი დელეგატები გადამწყვეტი ხმით: ბაქოს ორგანიზაციიდან – მენშევიკი **ისიდორე რამიშვილი (ბერიევი)**, მოსკოვის ორგანიზაციიდან – მენშევიკი **ი. ხუნდაძე (ალექსეი)**; ტაგანროგის ორგანიზაციიდან – **მენშევიკი სოხაძე(ლეონოვი).**

ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში;

2.სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციის ანგარიში;

3. დამოკიდებულება ბურჟუაზიულ პარტიებთან;

4.სახელმწიფო სათათბირო;

5.მუშათა ყრილობა და უპარტიო მუშათა ორგანიზაციები;

6. პროფესიული კავშირები და რსდმპ;

7.პარტიული გამოსვლები;

8.უმუშევრობა;

9.ეკონომიური კრიზისები და ლოკაუტი;

10.მუშაობა არმიაში;

11. ორგანიზაციული საკითხები;

12.სხვადასხვა.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3; გვ: 447-450)

გორაბერეჟოულში გურული ღვინის ფესტივალი გაიმართა

20 ივნისს, გორაბერეჟოულში ერისთავების სასახლის ეზოში და დენდროლოგიურ პარკში გურიის ღვინის პირველი ფესტივალი გაიმართა, რომელშიც რეგიონის არაერთმა მარანმა მიიღო მონაწილეობა.

ფესტივალში მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი მარნები, როგორიცაა კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა“(ასკანის მარანი), შარაშიძეების მარანი, დავით კობიძის მარანი, მენაბდის მარანი, „გურული ღვინოები“ (ამირან დოლიძის მარანი) ზურაბ თოფურიძის მარანი, „ბუკისციხე 1811“, ტყეშელიაძების მარანი (გურამ და გიორგი ტყეშელიაძეები), „ჯვარცხმა“ და ა.შ.

მრავალფეროვანი ღვინოები წარმოადგინეს ბესიკ მეფარიშვილმა („წიფლანური ჩხავერი,“), კახა კვიტაიშვილმა (ლანჩხუთი), ზაზა ანდღულაძემ, ნიკო გურგენიძემ (ბუკისციხე, 2020 წლის „სხილათუბანი)“, სპირიდონ სიხარულიძემ, სოსო ხინთიბიძემ („ტაკიძურა, „კლარჯული“, ოზურგეთი), გურანდა აბუსერიძემ, ნათია ჩხიკვაძემ, დიმიტრი ბარამიძემ და სხვებმა.

განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყვნენ პროფესორი ლევან უჯმაჯურიძე (წარმოდგენილი იყო ჯიღაურას მეურნეობაში დაწურული გურული ღვინოები) და გურული ვაზის პატრიარქი და უბადლო მევენახე (ეს შეფასება ლანჩხუთელ ჟურნალისტს კესო მახარაძეს ეკუთვნის) ანდრო ვაშალომიძე, რომელსაც რამდენიმე დასახელების ღვინო ჰქონდა წარმოდგენილი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ფესტივალის დღეს დაიბადა ვიტალი კილასონიას „ვიტოს ღვინო"ჯვარცხმიდან.

ტურისტების ყურადღების ქვეშ მოექცა ჩოხატაურელი ირაკლი ცინცაძის და ნინო კობიძის თხის ყველის მრავალნაირი სახეობა.

ფესტივალს არაერთი უცხოელი სტუმარი ჰყავდა, მათ შორის ამერიკელი (ლუიზიანა) ჯეიმს რიკარდი, რომელიც ქართველ მეუღლესთან, ანა უთურგაულთან ერთად დაესწრო ამ ფესტივალს და თავისი აღფრთოვანება გამოხატა გაზეთ „ალიონთან.“

ფესტივალს ესწრებოდნენ და დახურვის ცერემონიალზე დამსწრეთ მიმართეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **არჩილ თალაკვაძემ,** პარლამენტის რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე **სოზარ სუბარმა**, გურიის გუბერნატორმა **გიორგი ურუშაძემ,** ადგილობრივი თვითმმართველობების ხელმძღვანელებმა...

ფესტივალის გამარჯვებულად **ანდრო ერქომაიშვილი** (ოზურგეთი), **თეიმურაზ შარაშიძე** (ჩოხატაური) და **კახა კვიტაიშვილი** (ლანჩხუთი) დასახელდა. მათ ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

ფესტივალის დასასრულს, ერისთავების ეზოში ჭურს ახადეს თავი. სტუმრებმა ოცხანური საფერე დააგემოვნეს.

უღრმესი მადლობა გურიის ღვინის პირველი ფესტივალის ორგანიზატორებს, სპონსორებსა და მონაწილეებს!

7 დღის ამინდის პროგნოზი

ღრუბელი +16 +23	ჭექა ქუხილი +17 +25	წვიმა +17 +23	წვიმა +17 +23	წვიმა +17 +24	ღრუბელი +17 +23	წვიმა +17 +24
27 ივნისი ორშაბათი	28 ივნისი სამშაბათი	29 ივნისი ოთხშაბათი	30 ივნისი ხუთშაბათი	1 ივლისი პარასკევი	2 ივლისი შაბათი	3 ივლისი კვირა